



დამოუკიდებელი  
ინსპექტორის  
სამსახური

დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 25 აგვისტოს

დისციპლინური საქმე №68/20-1  
მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 20 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 22 ივლისის №377/68-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერებას ხდის სადავოდ.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 5 აგვისტოს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის - -- -- მიმართ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

2019 წლის 6 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე.

2019 წლის 15 აგვისტოს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 6 აგვისტოს განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 23 სექტემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

2019 წლის 30 სექტემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა -- სასამართლოს 2019 წლის 6 აგვისტოს განჩინება (თავმჯდომარე - მოსამართლე - -- --; მოსამართლეები: --, --).

2019 წლის 11 ნოემბერს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის - -- -- მიმართ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

2019 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე.

2020 წლის 23 მარტს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის - - - - მიმართ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

2020 წლის 24 მარტის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე.

2020 წლის 24 აპრილს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2020 წლის 24 მარტის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

2020 წლის 16 ივლისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებულია პირის უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, თუმცა, იგი არ არის აბსოლუტური უფლება და კანონით დადგენილია მისი შეზღუდვის წინაპირობები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს,“ თუ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესაბამისი წინაპირობები. აღნიშნული მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღნიშნოს „კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს“ და „მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.“

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუკი არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია (Weissman and Others v. Romania, §§34-35; საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ, §41).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლიტურ უფლებას, შესაბამისად სახელმწიფოს უფლება აქვს დაადგინოს შეზღუდვები სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შეზღუდვების ამა თუ იმ კონკრეტული გზით არ მოხდება სასამართლოსათვის მიმართვის უფლების არსის ხელყოფა (Jedamski and Jedamska v. Poland, §45).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს“ (2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**